იანვრის 1-სა. წელიწადი პირველი. 1862 წელსა.

# გუთნის-დედა,

ჟკლი მოსწერდება ტფილისში. ი. კერესელიძის სტამბაში. კუკიას, საკუთარს სახლში.

მამულის-მოქმედობისა ჟურნალი.

«ცისკარზედ» დამატება.

გამოიცემა ორკვრაში ერთხელ. ფასი ერთის წლის გამოცემისა ვინც «ცისკარზედ» კელს აწერს ერთი მანეთი, რომელიც არ აწერს ორი მანეთი.

ნ. 1

F 229



გუთანი შუმანისა, რომელიცა ხნავს მიწასა რაც უნდა ქამირი იყოს, ორისა უღლისა ანუ ოთხისა ხარისა საშუალობით.

---

უკეთესს მდგომარეობაში მოყვანილი მალოროსსიისა გუთანი უფალის შუმანისა შემოვიდა ხმარებაში 1852-სა, წელსა მაშინ, როდესაც მოსკოვის ქალაქში იყო (ვისტავკა) წარმოდგენა განსახილავად სხვა და სხვა გვართა სოფლისა ნამუშავართა, ამ გუთნის გამკეთებელსა უფალსა შუმანსა მისცეს ვერცხლისა მედალი. ეს გუთანი არის სწორედ ამერიკული გუთანი, მხოლოდ იმაზედ ცოტად მოდიდო და განირჩევა მისგან ამით, რომ შუმანისა გუთანსა აქვს არა თანასწორი თვლები ჩუგუნისა.

როგორათაც შეუმოწმებია უფალსა შუმანსა, იმისი გუთანი ხნავს ორისა დღისა მიწას იმოდენს დროზედ, რაოდენსაცა მალოროსსიისა საზოგადო გუთანი, მარამ ოთხისა უღელისა ნაცვლად უნდება მხოლოდ ორი უღელი ქამირს მიწაზედ, და რბილს მიწაზედ ერთი უღელი. ისა ჰსჭრის მიწასა ხუთისა ვერშოკისა სიღრმეზედ და სიგანით შვიდიდგან ცხრა ვერშოკამდინ და მიწასაცა სრულიად აბრუნებს. ეს გუთანი დაწვენილია მსუბუქსა ჩუგუნისა თვლებზედ, რომლებსაცა აქვსთ რკინისა ღერძები. ესე ღერძები დამაგრებული არიან ბურღოებით, ასრე რომ საჭიროებისა დროსა ამა ღერძებისა გამოცვლა ადვილად შეიძლება. წინა

ეროვნული

მხარისა და ღერძისა შუა ნაწილი შაერთებულია მოგრძო რკინით, რომელიცა გამაგრებულია ბურღოთი, ამ ბურღოთი აიწევ-დაიწევა. ესა მსახურებს გუთნისა დედასა მისთჳს, თუ რაოდენ სიღრმეზედ უნდა მიწისა მოხვნა. ამ გუთნით ისრე ადვილად იხუნება რაც უნდა ყამირი მიწა იყოს, რომ მომატებული მუშა არ უნდება, ერთსა დედაკაცსა ანუ ერთსა ყმაწჳლსაცკი შეუძლიან ამ გუთნითა ხუნა. საკუეთი აქუს ნაჭედი რკინისა, ფრთა და სახნისი ჩუგუნისა.—

---

## გუთანი შუმანისა.

დიდად ვჰმეცადინებდი სოფლისა მუშაობისა საქმე როგორმე მიმეყუანა იმა წესსზედ, როგორიცა მიღებულია ევროპაში და სხუათა ადგილთა. აქამდინ მაბრკოლებდა სამსახური და ეხლა შევუდეგ პირუელად გუთანსა. ცნობილია ესე, რომ მძიმე ქართული გუთანი დიდად გუაბრკოლებს მიწისა მუშაობაში და ჯდება ძჳრად. კარგმა და მარჯუე მომართულმან გუთანმან უნდა მოსჭრას მიწა თანასწორისა საზითა ზევითგან ქუეითამდინ, სადამდინაცკი სახნისი დაჰსწუთება, მერე უნდა მოგლიჯოს ბელტი მიწის-პირად, ასწიოს და გარდააბრუნოს ეს ბელტი ასე, რომ ძირი პირად მოექცეს. ეს გადაბრუნება ბელტისა უნდა ქმნას თჳთ გუთანმან კარგად მომართულმან და არა გუთნის-დედამ, რომელიცა ყოველთჳს დიდისა ძალის-დატა ნებით ცდილობს ბელტისა გადაბრუნებასა, ქართული გუთანი თავისისა გამართულებითა, სახნისითა და საკუეთითა ჰსჭრის მიწასა პირიდამ ირიბად ასე, რომ ხნულში ბევრჯერ რჩება მიწა, რომელსაცა გუთანი ვერ მოსჭდა. ეს არის მიზეზი, რომ მოხნულსა ამ-გვარად მიწაში მოდის მაღალ-დაბალი ყანა ანუ მოსავალი.

კარგი გუთანი ის არის, რომელიც მოხნავს მიწასა არა ბევრისა უღლებითა. ქართულსა გუთანში უნდა შეებას ამდენი უღელი, რამდენსაც არსად არ შეაბმენ სხუათა ქუეყნებში.

რადგანცა ქართული გუთანი არის სამძიმო მიწისა მოსხუნისათჳს, ამისთჳს ითხოვდა გონება მოვუეპოვნა ნაცულად ამა გუთნისა სხუა უფრო მოხერხებული და მარჯუე გუთანი.

მოვალე ვარ მივართუა მადლობა ღენერალ-მაიორსა მ. პ. კოლუბაკინსა, რომელმანცა მომცა გამოსაცდელად უცხო ქუეყნების გუთნებში ტფილისსა მოტანილები. ამა გუთნებში აღვირჩიე და ვამჯობინე ამერიკისა გუთანი უფ. შუმანისაგან გამართული. ესე გუთანი ჰხნავს ღრმად და ამისთჳს არის საუკეთესო შემუშავებისათჳს მიწისა ჩუენსა ქუეყნებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე გუთნითა გამოსაცდელათ ვასწნევინე მიწა ჩემსა სოფელში დიღომსა, სადაცა დავისწარ ამა სოფლისა გლეხნი. კარგმა მოხნულმან მიწამან მოიყვანა გლეხნი დიდსა განკჳრვებასა. ორისა უღლითა ანუ ოთხისა ხარითა შებმულმან გუთანმან შუმანისა მოხნა ექვს ვერშოკიანისა სიღრმეზედ იმოდენივე მინდორი, რასაც მოხნავს ქართული გუთანი რვა-უღლითა შებმული.

რადგანაც მიწა დიღომისა არის ქჳშიანი და უფრო მსუბუქი, ამისთჳს გარდავიტანე გუთანი მუხრანსა, სადაც მიწა არის თიხიანი და სახნავად მაგარი ჩვენსა ქვეყანაში. აღმოჩნდა, რომ აქაცა ისე ადჳლად მოხნა მიწა ამა გუთანმან, როგორც დიღომში. აქა დამსწრეთა გლეხთა გაუკჳრდათ ეს გუთანი და დაუწყეს დაწვრილებით სინჯვა მისისა მომართულობისა და მკითხავდნენ ყოველსა გუთნისა იარაღსა, რაცა რისთჳსა არის სახმარი.

ამა მიზეზისათჳს მაშინვე ვიყიდე გუთანი შუმანისა და ვჰსთხოვე უ. კოლუბაკინსა მომიტანინოს ოთხი ამისთანავე გუთანი.

ესრეთისა გვარისა გუთანი დიდად სახმარია ჩვენისა ქვეყნისათჳს. რადგანცა ჰხნავს უკეთესად და შრომა მოხვნისა ოთხ-ჯერ უფრო ნაკლები ჯდება ქართულსა გუთანზედ.—ფასიცა ამა გუთნისა დიდად ნაკლებია ჩვენსა გუთანზედ. გუთანი შუმანისა, რომელსაცა აქვს ორი საკვეთი და ერთი სახნისი მომატებული, თუ როგორმე გატყდა. ერთი მათგანი ჰფასობს სამ-თუმნად და რვა მანეთად, მაშინ, როდესაც ჩვენი გუთანი ქართული იყიდება ხუთ-თუმანზედ მეტად.

რომელთაცა ჰსურსთ ნახვა ამა გუთნისა შეუძლიანთ ნახონ ჩემსა მამულში ელისაბედიანში ქსნისა მდინარისა პირზედ, მუხრანისა ახლოს,—და მე თჳთ განუმარტებ მათ სიტყჳთა და წერილითა გუთნისა მომართულობასა.

ეს გუთანი დიდად და ბევრად უფრო მარჯვეა ჩვენსა ძველებურსა გუთანზედ. დიდად მოსახმარისია და სასარგებლო მეტადრე გლეხთათჳს. ჩვენთა გლეხთა იშჳთად აქვსთ თავიაანთი გუთანი და არცა ჰყავსთ საკმაო საქონელი, ამისთჳს გლეხნი შეიკრიბებიან ერთად, მოიყვანენ თავიაანთა საქონელთა და ერთად შეაბმენ გუთანსა და დიდად უძნელდებათ ერთმანერთთან ამხანაგობა. ბევრ-ჯერ შეიყრება ოცდა ხუთი ამხანაგი და ანეულისა მოხვნასა მოუნდება ორი თთვე. და დიდად ხშირად მოჰსდით შფოთი და უთანხმოობა. ბევრ-ჯერ ერთი ამხანაგი ერთისა მომატებულისა სიტყჳსა თქმისა, ან ხარისა მომატებულისა დაკვრითა, აღრევს მრთელსა ამხანაგობასა და ჰრჩება მეორეს წლამდის უხნავად მიწა. შუმანისა გუთანი, იაფი ჩვენსა გუთანზედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ორითა უღლითა შებმული მოაშორებს ამა შფოთსა და უწესობასა.

შუმანისა გუთანსა აქჳს რკინისა საკჳეთი და ბელტისა გადასაბრუნებელი ჩუგუნისა. თავიცა გუთნისა არის ჩუგუნისა, რკინისა ღერძზედ დამაგრებული.

არის კიდევ სხჳაცა გუთანი უ. დომბალისა, ევროპიისა გუთნებზედ უფრო მარჯჳე და იეფი. ამას ვხმარობდი ჩემსა მამულშიაც; მაგრამ რადგანცა ამა გუთანსა არა აქჳს თავი და ღერძი, და მუშაობისა დროსა უჭირდება გუთნის-დედასა მისი მოხმარება ამისთჳს; უფრო ვარჩიევე და ვამჯობინე გუთანი შუმანისა.

კნიაზი ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი.

---

## კავკასიისა მამულისა პატრონობისა და ჴელოსნობისაგან.

### I.

რადგანცა განიღჳძა ჩჳენსა მჴარეზედ სურვილმა, მიეცეს ცჳლილება მამულისა პატრონობისა და ჴელოსნობისა მოქმედებასა, ამისათჳს ზოგი ერთთა პირთა მოატანინეს სხჳა და სხჳა გარეშე ქჳეყნებითგან მამულისა შემუშავებისა მაშინები და იარაღები, ანუ მიჰმართეს ზოგი ერთთა რჩევისათჳს, იმ გჳართა პირთა, რომელთაცა სრულებით არა აქჳსთ ცნობა ამა საქმეში. ამ გჳარმა ქცევამ სრულებით ჩაჳშალა განზრახჳა ასე, რომ იძულებულ იჳნენ მიემართნათ ძჳელისავე ჩჳეულებისათჳს. გასაბრთხილებლად ამა გჳარისა მეპატრონეთა ზიანისა მიცემისა, კავკასიისა მამულისა პატრონობისა და ჴელოსნობისა გამგებელობამ ვალად იდო, უკეთუ რომელსამე მეპატრონესა აქჳს რომლისამე მიწისა შემუშავების იარაღისა მოწერა სხჳათა ქჳეყნებითგან, ანუ გამართჳა რომლისამე ქარხანისა, სიტყჳთა ანუ ქაღალდითა მომართავდეს რჩევისათჳს ზემო ხსენებულსა გამგებელობასა, რომელიცა მიიღებს დიდისა კმაყოფილებითა.

კავკასიისა მამულისა პატრონობისა და ჴელოსნობისა გამგებლობასა აქჳს მიწერ-მოწერა საუკეთესო სხჳა ქჳეყნებისა მაშინებისა და იარაღებისა მოქარხანავებთან და ჰყჳანან თჳს ჴელ ქჳეშ გამოცდილნი აგრონომნი.

### II.

კავკასიისა მამულისა პატრონობისა და ჴელოსნობისა გამგებელობამ საცდელად მოატანინა სხჳათა შორის შუმანისა გუთანი, რომელიცა აღმოჩნდა საქართჳელოსა მხარეზედ დიდად სასარგებლოდ. დარწმუნებულია მამულისა პატრონობისა გამგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებლობა, რომ ამა გუთნისა ხმარება სა-ქართუელოში, მისცემს სხუა მთესუელთა დიდსა შემსუბუქებასა. მსურუელთა, ესე გუ-თანი ცალცალკე რომ მოიწერონ, მრიელ გასაჭირი იქნება, ამისათჳს კავკასიისა მამულისა პატრონობისა და ჴელოვნებისა გამგებლობამ კისრად იღო თჳთან მოატა-ნინოს რამდენიმე, მხოლოდ ვისაცა აქუს სურვილი იქონიოს ესე გუარი გუთანი უნდა აცნობოს მამულისა პატრონობის გამგებლობასა პირუელს თებერვლამდის ამა წლისა.

ყოველსა დროსა შეიძლება ჴელის მო-წერა კავკასიისა მამულისა და ჴელოსნობისა გამგებლობისა კანცელიარიაში. ამა გუთ-ნისა ფასი ტფილისში მოტანით არის სა-მი თუმანი და რვა მანეთი. ფული უნდა შემოიტანონ გუთნისა მოტანისა და ჩაბა-რებისა დროს.

---

აშენება ორისა ფერმისა (*) კავკასიისა მხარესა.

წარსულმა წელიწადმა დაგუტევა ორი საქმე, რომელთაცა დიდი შემატება უნდა მისცენ ჩუენის მამულისა კეთებასა. ეს არის აშენება, ორის ფერმისა, ერთისა ქართლში მუხრანის-ახლო, ქსანისა პირზედ, მეორე ქუთაისის ახლო, იმერეთში. პატრონი პირ-უელისა (რომელიც არის წოდებული ელი-საბედის ფერმად) არის ღენერალ-ლეიტენან-ტი კნიაზი ივანე კონსტანტინეს ძე ბაგ-რატიონი მუხრანსკი. ეს დარწმუნა, რომ მუელებრივ ჩუენს მამულის კეთების დაწ-ყობილებასა არა აქუს ჯეროვანი სარგებ-ლობა, მოითხოვს მომატებულს შრომასა და ხარჯსა, და სამაგიეროს არ აძლევს იმოდენსა, როგორც ევროპაში, მიჰყო მან ჴელი ფერმისა აშენებასა ევროპიისა წეს-ზედ. ამა ჰაზრით კნიაზმა მუხრანსკიმ და-იჭირა ჯამაგირითა სწავლული ფრანცუზი აგრონომი (*) ანუ მიწის მომქმედი, დაიბარა საუკეთესო მაშინები და იარაღები, დაიწ-ყო სოფლებში შენობაები, ერთი სიტყჳთ დააწყესა ყოველივე, რაცა არის საჭირო კარგად-მომართულისა ევროპიულისა ფერ-მისათჳს, ესრეთვე მოიქცა ქუთაისისა ახ-ლოს, მდიდარი მოსკოვისა ვაჭარი, ონანო-ვი, რომელსაც გამგებლად ჰყავს აქაური სწავლული აგრონომი, უ. ხატისოვი.

ჩუენ გუსურს აქ რამდენიმე სი-ტყჳთ განვმარტოთ, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ ფერმებსა სხუა მამულის მკეთებელთათჳს, ან თუ რა სარგებლობის

---

(*) ფერმა ამ შემთხვევაში არის მამული, აშენებული ევროპიის რიგზედ. ანგლიაში და ფრანციაში ფერმას უწოდებენ ყოველს განსაკუთრებულს მამულსა (მიწისას), რომელიცა ცალკედ მიეცემა იჯარით.

(*) აგრონომი ჰქჳან იმათ ვინც არის ნასწავლი სოფ-ლისა კეთების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცემა შეუძლიანთ იმათ ჩჳენი ქჳეყნის მამულის კეთებისათჳს. მას აქეთ, რაც მმართებლობა ან კერძო საზოგადოება, ჩჳენი თუ უცხო, შესდგომია ზრუნვასა მოყვანისათჳს უკეთესს მდგომარეობაში ხჳნა-თესვისა და სხჳა სასოფლო ჴელობისა, გამოჩენილა მრავალი საშუალობა, რომლითაც შეიძლება ამ წადილის ასრულება. ამ ჭაზრითა მოუხმარებიათ და ზოგიერთს ახლაც ხმარობენ: განთავისუფლება გარეგანის და შინაგანის ბაჟისაგან ყოვლის მიწის გამოსავალისა, გაადჳლება მიწისა გასყიდვისა, დარიგება საუკეთესო მაშინებისა და იარაღებისა, დარიგება თესლეულისა, დაჯილდობა საჩინო მამულის მკეთებლისა და სხ. მაგრამ არც ერთი ამა საშუალობითაგანი არა ყოფილა ისე ნამდჳლი და უტყუარი, არც ერთს არა ჰქონია იმოდენი სარგებლობა, როგორც სამაგალითო ფერმების აშენებასა. და მართლათაც ასე უნდა იყოს, ამისთანა საპრაკტიკო საქმეში, როგორც სასოფლო მამულის მართჳა, ვერა რა გჳზამს თჳთ გამოცდილების, თჳთ საქმით წურთნის მაგიერობასა. როცა გჳწადიან რო ვასწავლოთ ვისმე რომელიმე ახალი ნაწილი სასოფლო ჴელობისა ანუ ვაჩჳენოთ უმჯობესობა ერთის იარაღისა მეორეზე, ერთის წესდებულებისა მეორეზედ, რას მოვიგონებთ ამაზედ უკეთესს, რომ თვალით დავანახოთ და ვაწრთოთ თჳთ ჴელობაში, ვაჩჳენოთ იარაღის მოქმედება საქმით. გავაცნოთ სხჳა და სხჳა დაწყობილობა ისე, რომ თითონვე შეეძლოს გარჩევა ავისა და კარგისა. ამ სახით, სამაგალითო ფერმა რომელშიაც ხვნა თესჳა და სხჳა სასოფლო ჴელობა არიან დაწყობილნი საუკეთესო რიგზედ, წარმოუდგენს თჳალსა სილ-ჳელს გამოცდილებასა, რომელიცა ასწავლის მსწრაფლად და ადჳლად, აძლევს კაცს შეურყეველს რწმუნებასა. რაც უნდა ძლიერი იყოს კაცის სიყჳარული ძჳელი წესდებულებისათჳს, რაც უნდა ღრმად გაედგას იმაში მირკჳ ცრუ მორწმუნებასა, თუკი თჳალით დაინახავს ახალი რიგის უმჯობესობასა, თუკი თავისივე კონებით შაიტყობს, რომ სასარგებლოა ძჳელი წესის გამოცვლა, მაშინ რაღა დააბრკოლებს მიბაძჳაში.

რუსეთში, სადაც მმართებლო სხჳა ყველა მართებლობაზედ უმეტესად ცდილობს თჳსის საკუთარის ღონისძიებით გაავრცოს და უკეთესს მდგომარეობაში მოიყჳანოს ყოჳელივე ნაწილი მამულის კეთებისა, მრაჳალს გჳბერნიებში არიან სამაგალითო ფერმები და იმათ მაგჳარი მდგომარეობა შენობაები, რომელთა აღშენებაზედ დახარჯულა დიდ ძალი ფული. ამ გვარათ არიან ფერმები გორკაში, სარატოვში, ვოლოგდაში და ხარკოვში—ხვნა თესჳს და პირუ-

ტჳს შენახჳსა სამაგალითოთ: მაღარაჩში და ყიზლარში ღჳნის დაყენების სამაგალითოთ. მრავალ ადგილს არიან საჯინიბოები, საკელმწიფო სარჯით დაარსებულნი, სადაცა ინახვენ საუკეთესო ჯილაგიან ცხენებსა, რომ გააუმჯობესონ გარემემო სახლში ცხენის ჯინსი. ზოგიერთი ამ სამაგალითო ფერმათაგანი დასჯდომია ხაზინას რამდენიმე ათიათას თუმნათ, და თუ არ ამგუარი სიმჴრე, მთავრობა კიდევაც გაამრავლებდა ფერმებსა. რადგანაც სარგებლობა მათი ცხადია ყოველთჳს. ფერმების გარემემო არამც თუ მებატონები, თჳთ გლეხნიცკი სწავლობენ ევროპიულ მამულის კეთებასა, ამიტომ რომ ყოველთჳს თვალწინა აქუთ მაგალითი უკეთესისა.

ამ გვარი ფერმები ჩუჱნში არ ყოფილა აქამომდე, და ამით უფრო მეტად უნდა გვიხაროდეს აშენება ფერმებისა ქსანის პირზედ და ქუთაისის ახლო, რომელნიც უნდა შეიქმნან მაგალითად მამულის კეთების აყვავილებისა როგორც ზემოხსენებულნი სიკელმწიფო ფერმაები რუსეთში. ყოველი გლეხი, ვისაცკი შესვდება მუშაობა ამ ფერმებში გამოცდილის აგრონომის ზედა მხედუჱლობისა ქუჱშე, ისწავლის საქმით ჯეროვანსა ხუნასა, საუკეთესო იარაღების ხმარებასა, კანონიერსა თესვასა და მცენარეთ მოვლასა, და ყოველს ამ გვარს ჴსწავლასა მოიხმარებს თავის მამულში. ამათი მნახუჱლი მებატონეცა მოინდომებს შეიტყოს, თუ რა წესით არის მოწყობილი ეს უცხო მომართულება, და რა გამოიკითხავს ყოველს ამასა, აღივსება კეთილ-შობილის მიბაძჳს სურვილითა. თუნდა კიდეც არ მივხედოთ, რა სარგებლობაა ამ გვარი მომართულობისაგან სხუა ქუჱყნებში, თჳთ საქმე გვარწმუნებს, რომ ეს ფერმები უთუოდ უნდა შეიქმნან უმლიერეს აღმძვრელად ჩუჱნ ქუჱყნის მამულის კეთების წარმატებისა, ჯერ ძლივ დაფუძნებული იყო ელისაბედის ფერმა, რომ დიდი შემატება მისცა ჩუჱნს მამულის მაკეთებელთა, განათლებულმა მისმა პატრონმა გამოსცადა ამ ფერმაში სხუა და სხუა გუთნები, და ზედ მიადგა იმისთანასა, რომელიც ოთხჯერ აიაფებს მიწის ხვნასა, და სავსემ საზოგადო სარგებლობის სურვილითა, გამოაცხადა გაზეთში ეს გამოცდილება, გამოვიდა თუ არა ეს გამოცხადება, მაშინვე ყოველ მხარიდგან მოვიდა—მამულის კეთების უპრავლენიაში თხოვნა ამ გვარი გუთნებისა, რადგანაც უკეთესობა იმისი ადჳლად შესატყობია ყოველთათჳს ჩუჱნ გვაქუს საკმაო მიზეზი ვიმედეულობდეთ, რომ კნიაზი ივანე მუხრანსკი კულავაც არ დაზოგავს რომ შაატყობინოს მამულის მკეთებელთა თავისი გამოცდილება და შორს გააწვდინოს სარგებლობა თავის მომართულობისა.

ამ სახით, ფერმები აშენებულნი კერძო პირთაგან და თავიანთ სარგებლობისათჳს უნდა შეიქმნას სასარგებლოდ მრთელის საზოგადოებისა. ამასთან უნდა ვჰსთქუათ რომ, კერძო პირთაგან აშენებული ფერმა უფრო ადჳლად ასრულებს იმ საქმესა, რომლისათჳსაც შენდება საჴელმწიფო ფერმა ე. ი. პირუელ უფრო მალე ასწავლის ხალხსა ჯეროვანსა მამულის კეთებასა, ვიდრე ბოლონდელი. საჴელმწიფო ფერმა დიდხანს არ აჩენს არაფერს მოქმედებასა, ამიტომ რომ მთავრობის მიბაძვა აგრე ადვილად ვერ მოუა ფიქრში კერძო კაცსა, ის ჰაზრი, რომ მთავრობას აქუს დიდი საშუალობა და შეუძლიან ფანტუა ფულისა. თუნდ არაფერ სარგებლობასაც არ მოელოდებოდეს, პირუელში უთუოდ შეაყენებს მრავალსა, და ვიდრე შაიტყობენ მართებლობის ნამდჳლს განზრახუასა. უნდა უბრალოდ დაიკარგოს დროება. წინააღმდეგ ამისა მოქმედება კერძო ფერმებისა ჩნდება სწრაფად: აქ აღარაფერი იჭჳ არ აყენებს მიბაძუასა; ყველას ესმის მაშინვე, რომ ფერმა აშენებულია გამორჩომისათჳს, რომ ცულილება და ახალი დაწყობილება მიღებულნი არიან მხოლოდ იმ მიზეზით რომ იმათში მეტი გამორჩომაა ვიდრე მუელ წესში.—ეს არი მიზეზი რომ სხუა ქუეყნებში მაგდენათ არ მოსწონთ საჴელმწიფო ფერმები, და როდესაც ჰსურთ, რომ გაამრავლონ ხალხში რომელიმე ჴელობის სწავლა, მთავრობა ამლევს შემწეობასა კერძო ფერმის პატრონსა, რომელიც კისრულობს შენახვასა და სწავლებასა რამდენიმე მოწაფისასა.

ივ. ს.... ვი.

---

## განცხადება.

**მამულის-პატრონობისა და ჴელოსნობის გამგებლობისაგან.**

რადგანც წლეულს იხსნება საქუეყნოდ ვისტავკა ლონდონში. ამისათჳს მთავრობა გზავნის იმ ქალაქში აგრონომსა უ. სერებრიაკოვსა, რომელსაცა თან ატანს კავკასიის მხარის გამოსავალსა და შეუკვეთავს მას, რომ გაშინჯოს მამულის კეთება ანგლიაში, ფრანციაში, ბელგიაში, გოლანდიაში, შუეიცარიაში და იტალიაში, და აგრეთვე უკეთესნი იმ ქუეყნების ფაბრიკები, რომლებშიაცა აკეთებენ სახნავ-სათესს იარაღსა და მაშინებსა. მთავრობა ვალად თჳსად შეჰრაცხს გამოუცხადოს ესე უ. უ. მამულის მკეთებელთა იმ ჰაზრით რომ, თუ ვინმე მათგანი ისურვებს შეუკუეთოს უფალს სერებრიაკოვსა სყიდუა სხუა ქუეყნებში რომლისამე მაშინისა, ანუ იარაღისა, ანუ ახსნა რომლისამე მამულის კეთების შესახების კითხვსა,—შეუძლიანთ იმედი ჰქონდეთ, რომ ყოუელს ამ გუარს შეკუეთილებასა უ. სერებრიაკოვი აღასრულებს გულს-მოდგენით და სინიდისიანად. სყიდუა მაშინებისა და იარაღებისა ამ საშუალობითა უნდა დაჯდეს ბევრით იაფად, ამისთჳს რომ არ არი საჭირო მიცემა გასამრჯელოსი.

თხოვნითა თჳსითა ამ საგანზედ უნდა შევიდნენ გამგებლობაში მამულის კეთებისა და ჴელოსნობისა კავკასიის და კავკასიის აქეთ მხარეში, ქ. ტფილისს. არა უგვიანეს იანვრის კე-სა ამა ჩყჲბ-სა წლისა.

ამასთან რადგანაც უპრავლენიემ იცის რომ მრავალთა მამულის მკეთებელთა ჰსურთ შეძინება მკისა და ლეწვისა მაშინებისა, აცხადებს, რომ იგი ელოდება ლონდონითგან ამბავსა, თუ რომელი მათგანი ყველაზედ უკეთესია, და როდესაც მიიღებს ამ ამბავსა, მაშინუე გამოუცხადებს უ. უ. მამულის მკეთებელთა და მიიღებს შუამავლობასა გამოწერისათჳს იმ მაშინებისა, რომელიც აღმოჩნდება უკეთესად ჩუენი ქუეყნისათჳს.

Тифлисъ. Печатать позволяется. 1 Января 1862 года. Цен. Кантмазовъ.

რედ. კერესელიძე.